სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

2 მაისი, 2011 წელი, №59

უსაფრთხოების ღონისძიებები საპატიმროში

როგორ და რა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშიშროების ღონისძიებები - ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც პატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები ხშირად სვამენ შეკითხვებს და რომლებთან დაკავშირებითაც, პრეტენზიები ხშირად ისმის ხოლმე. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსახორციელებელი უშიშროების ღონისძიებები კანონში მკაცრად არის გაწერილი.

2

სასამართლოებში საქმეთა განხილვის საშუალო ვადები

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიზანი ხელმისაწვდომი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაა. საქმეთა განხილვის სისწრაფე კი პირდაპირ პროპორციულად აისახება მართლმსაჯულების ეფექტურობაზე. თუ რეფორმამდე სასამართლოში შესაძლოა ერთი საქმის განხილვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ათეული წლებიც კი გაჭიანურებულიყო, დღეს უკვე წელიწადზე ცოტა მეტი დროა საჭირო, რომ საქმე სამივე ინსტანციაში დასრულდეს.

3

კანონები, რომლებიც ცხოველების ყოლის წესს არეგულირებენ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე გაყვანა ქუჩებში, ბულვარში, პარკში ან სკვერში, აკრძალულია. კანონის დარღვევის პირველ შემთხვევაში ოთხფეხა მეგობარის პატრონს სამართალდამცველები ან გააფრთხილებენ და კანონის დაცვისკენ მოუწოდებენ, ან კიდევ 20 ლარით დააჯარიმებენ.

4

გამამართლებელი განაჩენის საფუძვლები - მტკიცებულების არარსებობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მორიგი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. სასამართლოს ინფორმაციით, იმედა სირბილაძეს ბრალი ედებოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში სასურსათო მაღაზიის ქურდობის მცდელობაში. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მოწმის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, მაღაზიის დარაჯი თამაზ ფ. უშუალოდ შეესწრო ქურდობის მცდელობის ფაქტს და ბრალდებულიც ამოიცნო.

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალიბით - მაგთის სატელეფონო ზარების ამონაწერითა და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის ღამეს - 2010 წლის 14 ივლისს, ბრალდებული იმყოფებოდა თბილისში. ამდენად, შეუძლებელი იქნებოდა წყალტუბოს რაიონში მის მიერ დანაშაულის ჩადენა.

იმედა სირბილაძის დანაშაულში მონაწილეობის ფაქტი არ დადასტურდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდებითა და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზითაც. ამ მტკიცებულებების გათვალისწინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მაღაზიის დარაჯი, შესაძლებელია კეთილსინდისიერად შეცდა, ხოლო იმედა სირბილაძის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ ცნო.

იმედა სირბილაძე ამჟამად სასჯელს სხვა დანაშაულისათვის, ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის იხდის და სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლდება.

ცოტა ხნის წინ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თვითნებობის ჩადენაში ბრალდებული დ. კ. სრულად გაამართლა.

საქმის მასალების მიხედვით, მოქალაქე ი. ქ-მ პოლიციას განცხადებით მიმართა, რომლის თანახმადაც, დ. კ-მ ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან მისი კუთვნილი დახლ-მაცივარი და თაროები ნებართვის გარეშე წაიღო. გამოძიება, დ. კ-ს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით წაუყენა, რომელიც თვითნებობის ჩადენისათვის მაქსიმალურ სასჯელად 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დ. კ-ს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

მოძრაობის წესებს სკოლაში შეისწავლიან

სექტემბრიდან ახალი კანონი ამოქმედდება, რომელიც სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების სწავლების შემოღებას ითვალისწინებს და რომლის საფუძველზეც, მართვის მოწმობის აღება 18-ის ნაცვლად, 17 წლიდან იქნება შესაძლებელი. კანონპროექტი პარლამენტში უკვე შევიდა განსახილველად. საკანონმდებლო სიახლე შინაგან და განათლების სამინისტროების ერთობლივი ინიციატივის საფუძველზეა მომზადებული.

ორი სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში შესაბამის სწავლებას გაივლიან და ჩათვლასაც მიიღებენ, მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო გამოცდაზე უფასოდ გავლენ და მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოწმობასაც უფასოდ მიიღებენ.

კანონპროექტის მიხედვით, გამოცდაზე გასვლის პირველი მცდელობა უფასო იქნება და წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მართვის მოწმობის აღებაც. საკანონმდებლო ინიციატივა მოსწავლეებისთვის მართვის მოწმობის გაცემისას გარკვეულ შეზღუდვებსაც ითვალისწინებს.

როგორც კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, ახალგაზრდაზე მართვის მოწმობის გაცემა მოხდება მხოლოდ მშობლის ხელმოწერით დადასტურებული თანხმობის საფუძველზე, რომ ის ენდობა საკუთარ შვილს. ამასთან, შეზღუდვა იქნება ის, რომ მოსწავლეს, რომელიც ე.წ. დროებით მართვის მოწმობას მიიღებს (რადგან, როგორც კი, ის 18 წლის გახდება ყოველგვარი ახალი გამოცდების გარეშე ავტომატურად შეიცვლება და მიიღებს საერთაშორისოდ აღიარებულ მართვის მოწმობას), არ ექნება უფლება, იმუშაოს ამ საქმიანობით, როგორც პროფესიონალმა და აწარმოოს მგზავრთა გადაყვანა. გარდა ამისა, ერთი და იგივე ჯარიმის გამეორების შემთხვევაში, მას ერთი წლის ვადით ჩამოერთმევა მოწმობა, სიმთვრალის, ან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი 18-თვიანი აკრძალვით ისარგებლებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს კანონმდებლობაში განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის სიახლესთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს.

ზურაბ გიორხელიძე, 34 წლის:

- ვინ სარგებლობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით და ვინ განსაზღვრავს სპეციალური ნებართვის გარეშე დაწესებულებაში შესვლის წესს?

- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრი, პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები, საქართველოს სახალხო დამცველი, სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვით შესვლის წესს განსაზღვრავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრი.

ნინი ვაშაძე, 23 წლის:

- აქვს თუ არა ბრალდებულს უფლება, გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს?

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.

ლეილა გამისონია, 54 წლის:

- მოსამართლეს, გამომძიებელს ან პროკურორს აქვს თუ არა უფლება, ბრალდებულთან რეკომედაცია გაუწიოს რომელიმე ადვოკატს?

- სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად, ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

გუბაზ ცისკარიშვილი, 28 წლის:

- კონკრეტულად რა უნდა იყოს მითითებული სააპელაციო საჩივარში?

- გარდა აპელანტის სახელისა და გვარისა და საცხოვრებელი ადგილისა, სააპელაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი; განაჩენის გასაჩივრებული დებულებები და ამ დებულებების

უკანონობის ან დაუსაბუთებლობის არსი. სააპელაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს ასევე მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის ახალი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული უნდა იყოს, თუ რა ნაწილში საჩივრდება განაჩენი და საჩივრის დამადასტურებელი არგუმენტები.

კანონმდებლობა

უსაფრთხოების ღონისძიებები საპატიმროში

ვის და რა შემთხვევაში აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების თაობაზე; რა შემთხვევაშია დასაშვები მსჯავრდებულის განცალკევება და მისი სამარტოო საკანში მოთავსება; ხელბორკილის და დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება; რა შემთხვევაში აქვს დაწესებულების მოსამსახურეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება და საერთოდ, როგორ და რა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშიშროების ღონისძიებები - ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც პატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები ხშირად სვამენ შეკითხვებს და რომლებთან დაკავშირებითაც, პრეტენზიები ხშირად ისმის ხოლმე. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსახორციელებელი უშიშროების ღონისძიებები კანონში მკაცრად არის გაწერილი.

მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, დასაშვებია მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება, მისი განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან, დროებით სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, სამარტოო საკანში მოთავსება არა უმეტეს 24 საათისა. კანონით, უშიშროების ღონისძიების გამოყენება უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება იყო გამოყენებული.

ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის ნებართვით და თანაც იმ შემთხვევაში, თუკი კონტროლის სხვა საშუალებები არაეფექტური აღმოჩნდება. ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების შესახებ დირექტორმა უნდა აცნობოს სამედიცინო მუშაკს. ქალი მსჯავრდებულებისთვის და და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის დამაწყნარებელი პერანგი არ გამოიყენება.

მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის გამოყენება დასაშვებია გადაყვანის დროს მისი გაქცევის თავიდან აცილების მიზნით.

თუ მსჯავრდებული თავს დაესხმება ვინმეს ან ჩაიდენს სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც ემუქრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, დასაშვებია დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუკი სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. რაც მთავარია, გამოყენებული ძალა უნდა იყოს იმ საფრთხის პროპორციული, რომელსაც მსჯავრდებული უქმნის გარშემომყოფებს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის შემთხვევაში, გამონაკლისი ღონისძიების სახით, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუკი სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. ამ შემთხვევაშიც, კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ გამოყენებული ძალა უნდა იყოს იმ საფრთხის პროპორციული, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებას დაემუქროს მსჯავრდებულის გაქცევის შემთხვევაში. გამოყენებული ძალა უნდა იყოს მინიმალური, რაც აუცილებელია გაქცეული მსჯავრდებულის შესაჩერებლად. ქალთა და არასრულწლოვანთა გაქცევის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, კანონით, დაუშვებელია.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშიშროების ღონისძიებების გამოყენების სხვა პირობები და გარემოებები რეგულირდება შესაბამისი დაწესებულების დებულებით.

უშიშროების ღონისძიების გამოყენების შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელობამ ამავე დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან ერთად უნდა ჩაატაროს მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება, რომლის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშიშროების ღონისძიებებისა და მისი დებულების დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი დაწესებულების დირექტორს.

სტიქიური უბედურებისას, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას, სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიისას და მასობრივი არეულობისას, აგრეთვე თუ დაწესებულება დაზიანდა ან აღარ გამოდგება კანონით გათვალისწინებული მიზნებისთვის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება შემოღებული იყოს განსაკუთრებული პირობები.

დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარე მინისტრთან წერილობითი შეთანხმებით, არა უმეტეს 15 დღის ვადით. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში, მინისტრის თანხმობით, შესაძლებელია, გაგრძელდეს კიდევ 15 დღით.

მსჯავრდებულის, დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აშკარა საფრთხის შექმნის შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორს შეუძლია დამოუკიდებლად შემოიღოს განსაკუთრებული პირობები.

დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს განსაკუთრებული პირობების დამოუკიდებლად შემოღების თაობაზე დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში, მინისტრის წერილობითი თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული პირობების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.

თუკი დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების რეჟიმის დროს სხვა საშუალებებით ვერ ხერხდება შექმნილი ვითარების ლოკალიზება ან დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ დაწესებულებაში აკრძალული საგნების, ნივთიერებებისა და კვების პროდუქტების ამოღების მიზნით ფართო მასშტაბის ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება მაშინ, როდესაც არსებობს ჯგუფური დაუმორჩილებლობისა და მასობრივი არეულობის წარმოშობის დიდი საშიშროება, მინისტრის სათანადო მიმართვით და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით დაწესებულების დაცვა შეიძლება გაძლიერდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფებით.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მასობრივი არეულობისას და ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას თავდასხმის, დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით, დეპარტამენტი შეიმუშავებს უშიშროების დამატებითი ღონისძიებების გეგმას, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ხე-ტყის უკანონო სარგებლობაზე სანქციები მკაცრდება

ხე-ტყით უკანონო სარგებლობა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

ამისთვის ცვლილება "ტყის კოდექსში" შედის.

ცვლილებები საქართველოს ტყეების რეგულაციას შეეხება, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტყიდან გამოსული სამასალე მორების კანონიერ, საგარეო ბრუნვაში მიქცევის საკითხს.

კანონპროექტით, ბუნებრივი რესურსების სააგენტო დაამზადებს სპეციალურ ფირნიშებს, რომელსაც კონკრეტული ნომერი ექნება და აისახება ელექტრონულ ბაზაში. ფირნიშები გაიცემა ლიცენზიის მფლობელს პირებზე და იქნება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სახერხ საამქროებზე კონტროლის გამკაცრებას. მათ უფლება არ ექნებათ, რომ გადასამუშავებლად ისეთი მორი მიიღონ, რომელსაც არ ექნება შესაბამის ფირნიში.

ფირნიში იქნება ორი ზომის, ერთი სახერხ საამქროში დარჩება, ხოლო მეორე ბუნებრივი რესურსების სააგენტოში დაბრუნდება. ფირნიშის ღირებულება კი ლიცენზიის ფასში შევა.

ამასთან, მკაცრდება პასუხისმგებლობა ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-ტყის მორების უკანონო ბრუნვაზე.

ტყით უკანონო სარგებლობისთვის პირი პირველ შემთხვევის დროს 1000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო განმეორების შემთხვევაში იგი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ერთი წლამდე ვადით. კანონპროექტით, მოსახლეობისთვის საშეშე მასალის მოპოვების რეგისტრაცია კიდევ უფრო გაადვილდება.

მართლმსაჯულება

სასამართლოებში საქმეთა განხილვის საშუალო ვადები

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიზანი ხელმისაწვდომი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაა. საქმეთა განხილვის სისწრაფე კი პირდაპირ პროპორციულად აისახება მართლმსაჯულების ეფექტურობაზე. თუ რეფორმამდე სასამართლოში შესაძლოა ერთი საქმის განხილვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ათეული წლებიც კი გაჭიანურებულიყო, დღეს უკვე წელიწადზე ცოტა მეტი დროა საჭირო, რომ საქმე სამივე ინსტანციაში დასრულდეს.
უზენაესი სასამართლო მუდმივად აკონტროლებს საქმეთა განხილვის საშუალო ვადებს და წელიწადში რამდენჯერმე ვადების გამოთვლასა და მის ანალიზს აკეთებს. ბოლო მონაცემების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებზე სამივე ინსტანციაში განხილვის საშუალო ვადა შეადგენს 14 თვეს, ადმინისტრაციულ საქმეებზე 16 თვეს, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე 17 თვეს.



საქმის განხილვის ვადები სისხლის სამართლის საქმეებზე

ბრალდებულის პატიმრობის ვადა ითვლება მისი დაკავების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინა სასამართლოს სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს, ხოლო პატიმრობის საერთო ვადა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ჩათვლით, განაჩენის გამოტანამდე 9 თვეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-293-ე მუხლების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, იმავე სასამართლოში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, ხოლო სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში გამოაქვს განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 და 302-ე მუხლების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, იმავე სასამართლოში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

საქმის განხილვის ვადები სამოქალაქო საქმეებზე

მოსამართლე ვალდებულია, სარჩელის ჩაბარებიდა 65 დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საქმეები განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვეში.

საქმის განხილვის ვადები ადმინისტრაციულ საქმეებზე

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება გასაჩივრების ვადის ათვლის ერთნაირი წესი. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ, ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას.

სააპელაციო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

საკასაციო სასამართლო

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ამოწმებს, დაცულია თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის ფორმალური საფუძვლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად. შემდგომ ეტაპზე სასამართლო 3 თვის ვადაში ამოწმებს, დაცულია თუ არა საკასაციო საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები - მოცემული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ემუხლში. საჩივრის ფორმალური საფუძვლით დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვის ვადა შეადგენს 6 თვეს.

მოძრაობის წესებს სკოლაში შეისწავლიან

პირველი გვერდიდან

როგორც გაირკვა, მსგავსი პრაქტიკა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის ზოგიერთ შტატსა და გერმანიაში უკვე დანერგილია.

რაც მთავარია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი საგნის - "საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების" შემოღებამდე, პედაგოგები სპეციალურ გადამზადებას გაივლიან. მასწავლებლების შესაბამის გადამზადებას პოლიციის აკადემია განახორციელებს. დაიბეჭდება სპეციალური სახელმძღვანელობი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც მოსწავლეებს მოძრაობის წესების შესწავლას გაუადვილებს. მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულ სწავლებას გაივლიან, არამედ მათ პრაქტიკული ცოდნაც მოეთხოვებათ, რის გამოც, მათ ავტო სკოლებში მოუწევთ სიარული.

კანონპროექტის ავტორების განმარტებით, პროექტი, რომელიც სკოლებში მოძრაობის წესების შესწავლას სავალდებულო საგნის სახით ითვალისწინებს, არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდებისთვის სერიოზული საჩუქარია, არამედ ის ძალიან მნიშვნელოვანია მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით.

ახალი სავალდებულო საგანი საჯარო სკოლების გარდა, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც დაინერგება.

Vox Populi

კახა ერგემლიძე,
57 წლის:

- რა ვადები აქვს სააპელაციო სასამართლოს იმისთვის, რომ გადაწყდეს საჩივრის დასაშვებობა და საჩივრდება თუ არა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე?

- სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. თუ საჩივარი არ შეესაბამება კოდექსის შესაბამის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აპელანტს აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუ აღნიშნულ ვადაში აპელანტი შეავსებს ხარვეზს, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს.

მამუკა შავერდაშვილი,
30 წლის:

- რა შემთხვევაში აქვს მოსამართლეს უფლება, სიტყვის თქმისას შეაჩეროს ბრალდებული?

- თუკი ბრალდებული საუბრობს ისეთ გარემოებაზე, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში, მოსამართლეს უფლება აქვს, ის შეაჩეროს.

ელისო შუკვანი,
40 წლის:

- კანონი უზრუნველყოფს თუ არა, უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით გამოძახებული მოწმისთვის, ექსპერტისა და დაზარალებულისთვის ხარჯების ანაზღაურებას?

- უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე გამოძახებულ მოწმეს, ექსპერტსა და დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება მათ მგზავრობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნასთან, ასევე ძირითადი სამუშაოდან მოცდენასთან.

უცხო სახელმწიფოს ტერიტორიიდან გამოძახებულ ექსპერტს დამატებით აუნაზღაურდება ყველა ის ხარჯი და გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საექსპერტო საქმიანობის განხორციელებასთან.

ეკატერინე შავგულიძე,
24 წლის:

- ბრალდებულის საპატიმროში მოთავსებისას აუცილებელია თუ არა მისი ფოტოგრაფირება?

- ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას აუცილებელია მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი, სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით ინახება ბრალდებულის პირად საქმეში.

ნათია ნოზაძე,
20 წლის:

- დასაშვებია თუ არა მსჯავრდებულთან ხანგრძლივი პაემანი განხორციელდეს მისი თანხმობის გარეშე?

- ხანგრძლივი პაემანი მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე დაუშვებელია

კანონები, რომლებიც ცხოველების ყოლის წესს არეგულირებენ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე გაყვანა ქუჩებში, ბულვარში, პარკში ან სკვერში, აკრძალულია. კანონის დარღვევის პირველ შემთხვევაში ოთხფეხა მეგობარის პატრონს სამართალდამცველები ან გააფრთხილებენ და კანონის დაცვისკენ მოუწოდებენ, ან კიდევ 20 ლარით დააჯარიმებენ. ხოლო, თუ საყვარელ ცხოველს საბმელის ან ალიკაპის გარეშე განმეორებით გაიყვანთ ქუჩაში, მფლობელს უკვე 50-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. იმავე კანონმდებლობით დარეგულირებულია ძაღლებისა და კატების ყოლის წესებიც, რომლის დარღვევაც იწვევს მოქალაქის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირი ამ დარღვევისთვის შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმდება.

თუმცა, მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში მოქმედებს ძაღლებთან დაკავშირებული კანონები, რომლებშიც დარეგულირებულია უამრავი საკითხი, დაწყებული კონკრეტული ჯიშის ძაღლების ყოლის აკრძალვიდან, დამთავრებული საკუთარი ძაღლის ექსკრემენტების დასუფთავებით. ამ აქტებს შორის არის კანონი ძაღლის ავი ჯიშების შესახებ. ანალოგიური წესი ქართველულ კანონმდებლობაში აქამდე არ არსებობს, ამიტომ საკანონმდებლო ორგანოში მუშაობენ კანონპროექტზე «საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" . პარლამენტის ანალიტიკურ დეპარტამენტში კი მომზადდა კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ არეგულირებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ძაღლის ავი ჯიშის ყოლის უფლებას.

აშშ-ში კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ პრეზუმფციას, რომ კონკრეტული ჯიშის ძაღლები საშიშნი არიან. აქედან გამომდინარე, აშშ-ს ზოგიერთი შტატის საკანონმდებლო ორგანო უკრძალავს მუნიციპალურ თვითმმართველობას მიიღოს ძაღლის ავ ჯიშებთან დაკავშირებული კანონები თუ განკარგულებები. თითქმის ყველა შტატის ოლქში ფუნქციონირებს შინაურ ცხოველთა მაკონტროლირებელი უწყება, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს ძაღლებისა და ავი ძაღლების ყოლის შესახებ კანონების შესრულებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც წესი, ადგილობრივი მმართველობის გარემოს დაცვის უწყებასთან ან სანიტარულ სამსახურთან მუშაობს სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია იმაზე, რომ შინაური ცხოველების პატრონებმა დაიცვან სისუფთავე საჯარო სივრცეში და გაიტანონ ცხოველთა ექსკრემენტები. ეს სააგენტო განსაზღვრავს აგრეთვე ჯარიმის მოცულობას სანიტარული წესების დარღვევისთვის. მაგალითად, ნიუ-იორკის სანიტარული სამსახურის უფროსის წინადადებით, რამდენიმე წლის წინ არსებული 100-დოლარიანი ჯარიმა შინაური ცხოველის ექსკრემენტების გაუტანლობისთვის გაიზარდა 200 დოლარამდე.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს 1991 წელს მიღებული კანონი ავი ძაღლების შესახებ, რომელიც კრძალავს ოთხი ჯიშის ძაღლის ყოლას სასამართლოს ნებართვის გარეშე. სწორედ სასამართლო ადგენს ძაღლის სიავის დონეს. ინგლისში აკრძალულ ძაღლების ჯიშს ეკუთვნის - პიტ-ბულტერიერი, იაპონური ტოსა, არგენტული დოგო და ბრაზილიური ფილა. კანონი ავალდებულებს ამ ჯიშის ძაღლის პატრონებს მათი ალიკაპითა და ღვედით ტარებას.

ავსტრალიაში მოქმედებს კანონი, რომლის ძალითაც საერთოდ იკრძალება ამერიკული პიტ-ბულტერიერის, იაპონური ტოსას, არგენტინული დოგოს და სხვა მსგავსი ჯიშების. შეყვანა ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო ამ ძაღლების პატრონებს მკაცრად ევალებათ მათი სტერილიზაცია და განსაკუთრებული წესების დაცვა საზოგადოებრივ ადგილებში. ამ ქვეყანაში ავი ძაღლის ღვედი განსაზღვრული ფერების უნდა იყოს. რიგ ქვეყნებში მხოლოდ რეგისტრირებულ მომშენებლებს აქვთ უფლება არ გაუკეთონ ძაღლებს სტერილიზაცია.

კანადაში არ არის ფედერალური კანონი ავი ძაღლების შესახებ, მაგრამ რამდენიმე პროვინციასა და მუნიციპალიტეტს აკრძალული ან შეზღუდული აქვს პიტ-ბულის ჯიშის ძაღლების ყოლა, ხოლო ამ კანონის მიღების დროს არსებული ძაღლების პატრონებს კანონი ავალდებულებს ალიკაპის და ღვედის ხმარებას და სტერილიზაციას. ამას გარდა, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ძაღლმა იერიში მიიტანა ადამიანზე, დაკბინა ის ან საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლეს, ძაღლი უნდა მოიკლას, როგორც წესი, დაძინებით.

დანიის იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, აკრძალულია 14 ჯიშის ძაღლის ყოლა და გამრავლება, მათ შორისაა კავკასიური ნაგაზიც.

საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით პიტ ბულის ჯიშის ძაღლებს სტერილიზაცია უკეთდებათ.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ძაღლის ყოლის წესები ზოგადად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ადგენს აგრეთვე წესებს ძაღლების ტრანსპორტირებისა და მგზავრობისთვის. კოდექსის თანახმად, ძაღლის პატრონი ვალდებულია არამარტო დაბმული ყავდეს ცხოველი, არამედ ალიკაპიც გაუკეთოს მას საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას, ხოლო პატარა ზომის შინაური ცხოველები მოთავსებული უნდა ჰყავდეს სპეციალურ ყუთში ან გალიაში, სადაც მისი მოძრაობები არ იქნება შეზღუდული. უფრო კონკრეტულად, შინაური ცხოველების ყოლისა და მოვლის, მათი ექსკრემენტების გატანის წესებს და ამ წესების დარღვევისთვის განსაზღვრულ ჯარიმებს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამართლებრივი აქტით.

პოლონეთის ცხოველთა დაცვის შესახებ კანონით აგრესიული ძაღლის ყოლა ნებადართულია მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოილი უწყების ნებართვით.

რძალს დედამთილისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

სასამართლო განხილვის თემა კიდევ ერთი ოჯახური კონფლიქტი გახდა. მოსარჩელე მ. კ.-მ თავის საკუთრებაში არსებული სახლიდან შვილისა და რძლის გამოსახლების მოთხოვნით ჯერ რაიონულ სასამართლოს მიმართა, შემდეგ კი თავისი პოზიციის დაცვა სააპელაციო სასამართლოში სცადა. მანვე რძლისაგან მიყენებული ფიზიკური დაზიანების გამო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. ი.ა.-ს დედამთილისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის - 536 ლარისა და მორალური ზიანისათვის - 500 ლარის გადახდა დაეკისრა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და აპელანტების - ი.ა-სა და რ.კ-ს საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მიხედვით, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემობები, რაზეც თავის მოთხოვნებს ამყარებს. პალატამ დაადგინა, რომ მ. კ-ს შვილის მიმართ დასაბუთებული პრეტენზია არ წაუყენებია. საქმის მასალების მიხედვით, არ დადასტურდა, რომ მ. კ-სათვის ზიანის მიყენებაში რაიმე ფორმით მონაწილეობდა მისი შვილი, ან იგი მოწინააღმდეგე მხარეს რაიმე ფორმით აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. შესაბამისად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება რ. კ-სათვის სახლის მართლზომიერი მფლობელობის შეწყვეტის შესახებ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

რაც შეეხება ი.ა-ს სახლიდან გამოსახლებაზე მ. კ-ს მოთხოვნას, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ იგი დასაბუთებულად ჩათვალა. ასევე საფუძვლიანად მიიჩნია დაზარალებული მხარისაგან მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აპელანტი ი.ა. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში და სახელმწიფოს მხრიდან იღებს 102-ლარიან შემწეობას. ასევე მხედველობაში მიიღო გარემოება, რომ აპელანტმა დედამთილი ყოფითი კონფლიქტის ნიადაგზე დააზიანა. სასამართლო კოლეგიამ ასეთი შემთხვევისათვის არაქონებრივი ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად 300 ლარი მიიჩნია.

სასამართლო ქრონიკა

სასამართლო დავა მეწარმის სასარგებლოდ დასრულდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მეწარმე ლია გ. უკანონოდ დარიცხულ თანხას აღარ გადაიხდის.

კერძო მეწარმე სასამართლოში შემოსავლების სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს უჩიოდა. დავის საგანს საგადასახადო ორგანოების მიერ მეწარმის მიმართ დარიცხული თანხა წარმოადგენდა, რის საფუძველზეც მას ქონება დაუყადაღეს. საწარმოს მეპატრონემ საგადასახადო ორგანოს ქმედება უკანონოდ მიიჩნია და სასამართლოს მიმართა.

სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მიზნით საგადასახადო ორგანოს მეწარმის დაბეგვრის საქმე მოსთხოვა, რაც შესაძლებელს გახდიდა დადგენილიყო დავალიანების დარიცხვის საფუძველი. თუმცა საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გადასახადის დარიცხვის კანონისმიერი საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მეწარმეს არა მარტო ჩამოეწერა უკანონოდ დარიცხული თანხა, არამედ ყადაღა მოეხსნა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე დაყადაღებულ მის ქონებასაც. მოგეხსენებათ, რომ მეწარმეების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისთვის ქონების არსებობა და მისი თავისუფალი განკარგვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახლავთ. სასამართლოს გადაწყვეტილებით კი სწორედ ეს უფლება იქნა აღდგენილი.

შემამსუბუქებელი და გამამართლებელი განაჩენები

სასამართლომ გრიგოლ ს.-ს მიმართ წინასწარი აღმკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილა და ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ბრალდების მხარე, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. ადვოკატმა სასამართლო დაარწმუნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები და მას წინასწარი პატიმრობა არ უნდა შეფარდებოდა.

განსასჯელ მიხეილ ლ.-ს კი სასჯელი შეუმსუბუქდა. მას ბრალი ედებოდა ყაჩაღობის მომზადებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში.

ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე, განსასჯელს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

მიხეილ ლ.-ს სასამართლომ ყაჩაღობის ბრალდება სრულად მოუხსნა და დამნაშავედ ცნო მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში. საბოლოოდ, მას 18 წლის ნაცვლად, 6 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის დარბაზიდან მსჯავრდებული გათავისუფლდა. 39 წლის ვ. გ-ს პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალი ქურდობასა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, კერძოდ, 200 ლარის გატაცებასა და 65 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა»-ს შეძენა-შენახვაში დასდო.

ვ. გ-ს, სასჯელის სახით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლე თამარ ალანიას თავმჯდომარეობით პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა. ვ. გ. წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო და სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის საფუძველი უტყუარი მტკიცებულებების არარსებობა გახდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ვ. გ-ს 10-თვიანი პატიმრობა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებით დასრულდა და მას რეაბილიტაციის უფლებაც განემარტა.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com